



არემაზი

სიასლუაბი

რიჩ მეტალს გრუპი

N 14 | მაისი | 2015



18 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილის შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყარაღიანი №1 უბანზე კომპანია „არემაზი ბოლდი“ საქმიანობას შეუფერხებლად გააგრძელებს.

"არემაზი ბოლდი" საქმიანობას ყარაღიანის №1 უბანზე შეუფერხებლად გააგრძელებს

აღნიშნულ გადაწყვეტილებებს წინ უძღოდა 2015 წლის 16 მაისს მოსამართლეების: ნანა დარასელიას და ნინო ბუაჩიძის, ასევე მხარეების მოწმეთა და სპეციალისტთა მონაწილეობით საყდრისი-ყარაღიანის უბნის ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

კომპანიის ხელშეწყობით, ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცა სრული შესაძლებლობა ეტადურად დაეთვალიერებინა ადგილმდებარეობა და ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეეფასებინა შექმნილი მდგომარეობა. დათვალიერების მონაწილე არქეოლოგებისა და სპეციალისტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაადგინა, რომ საყდრისი-ყარაღიანის არქეოლოგიური ობიექტი სრულად დაზიადი და აღუდგურა, რის გამოც

კომპანიის მხრიდან სამუშაოების შეჩერების საფუძველი არ არსებობს.

"ყველა მხარის არქეოლოგმა დაათვალიერა აღნიშნული ობიექტი და ყველამ დაადგინა, რომ არქეოლოგიური ობიექტი დაზიადი, აღარ არსებობს, სტერილურია და საქმიანობის შეჩერებას ამრიგად არ აქვს. კომპანია საქმიანობას კანონის სრული დაცვით ახორციელებდა და ახორციელებს. ამ შემთხვევაში ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია", - განაცხადა კომპანია „არემაზის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ვახტანგ ფარესიშვილმა.

ამავე დღეს, საყდრისი-ყარაღიანის ტერიტორიაზე ადგილობრივ მოსახლეობასა და „საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტის"



წევრებს შორის დაპირისპირება მოხდა.

მოსახლეობის თქმით, მათი ჩაიონისთვის საწარმოს მუშაობა აუცილებელია, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული მათი კეთილდღეობა.



"არემჯი" ბოლნისის №1 საჯარო სკოლაში

ირმა წაქაძე (ბოლნისის №1 საჯარო სკოლის დირექტორი) - "დავწყე

იმზე ფიქრი, თუ როგორ შეიძებოდა სკოლისთვის უმნიშვნელოვანესი

პრობლემების გადაჭრა,

რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო. ამიტომ მივმართე კომპანია "არემჯის", ავუსხენი მდგომარეობა და მართლაც, ცოტა ხანში გამოგვიყვეს სამუშაო ჯგუფი და პრობლემაც გადაგვიწყვიტეს. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. კმაყოფილები ვართ და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობას."

ნიკოლოზ კარიჭაშვილი (კომპანია „არემჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი) - „სკოლის

ხელმძღვანელობამ "არემჯის" წარმომადგენლებს მოგვმართა თხოვნით, რომ მოგვეგვარებინა სკოლის პრობლემები. ეს იყო სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია და სველი წერილების შეკეთება. ჩვენ დაუყოვნებლივ მოვახდინეთ რეაგირება და სკოლის ხელმძღვანელობის თხოვნა დავაკმაყოფილეთ

ბოლნისის №1 საჯარო სკოლა დაარსებიდან უკვე 73 წელს ითვლის. იქ დღეს 760 მოსწავლე სწავლობს.



"არემჯის" წარმომადგენლები ბოლნისის №1 საჯარო სკოლას ესტუმრნენ, სადაც ახდებდნენ სააქტო დარბაზი და სველი წერილები დაათვალიერეს. სკოლაში საჩუბილიტაციო სამუშაოები კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით ერთი თვის წინ დაიწყო. საპირფარეშოებში ახალი ხელსაბანები, ვენტილაცია და წყლის სისტემა დამონტაჟდა. სააქტო დარბაზში კი იატაკი შეიცვალა და კედლები შეიღება.

"არემჯის" საჩუქარი საფეხბურთო კლუბ "სიონს"

27 მაისს, კომპანია "არემჯი" საფეხბურთო კლუბ "სიონს" საჩუქრად "ნაიკის" ფირმის უმაღლესი ხარისხის 30 ერთეული სათამაშო ბურთი გადასცა. ამასთან ერთად, კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ნიკოლოზ კარიჭაშვილი კლუბის გენერალურ დირექტორს, დადო ბურთულს მეორე სეზონისთვის გუნდის ეკიპირებას დაჰპირდა.

ლადო გურდული (საფეხბურთო კლუბ "სიონს" გენერალური დირექტორი) -"საქართველოში ყველაფერი უმნიშვნელოვანესია, როგორც ბურთი, ბუცი, ასევე ფორმაც. მოხარული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კომპანიასთან შედგა და იმედი მაქვს, რომ კვლავაც გაგრძელდება. ამ

ბურთებით თამაშობენ ესპანეთის A ლიგასა და ინგლისის პრემიერ ლიგის ისეთი გუნდები, როგორებიცაა "ბარსელონა", "მანჩესტერის იუნიტედი" და "მანჩესტერის სიტი". მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო "არემჯის", რომ ასეთი კარგი საჩუქარი გავციკეთ."

ნიკოლოზ კარიჭაშვილი ("არემჯის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი) -"დღეს კომპანია "არემჯი" ბოლნისის „სიონს“ საჩუქრად გადასცა მაღალი ხარისხის "ნაიკის" 30 ერთეული ფეხბურთის ბურთი. ჩვენი ხელმძღვანელობა აქტიურად გააგრძელებს კულტურისა და სპორტის მხარდაჭერას. წარმატებას და წინსვლას ვუსურვებ ამ გუნდს!"



"არემეტის" მორიგი საჩუქარი ანსამბლ "მართვეს"



მიუხედავად როგორმე ევარჯიშით. კომპანიის წყალობით კი ეს პრობლემაც მოგვარებულია. ამ შემთხვევაში მხოლოდ სითბო და სიგრილე არ არის, ამ პრობლემის გადაწყვეტა ბავშვის ჯანმრთელობაზეც დადებითად აისახება. მადლობა "არემეტის" მორიგი ქვედმოქმედებისთვის."

ნიკოლოზ

პარიჭაშვილი
(კომპანია „არემეტის“
საზოგადოებასთან
ურთიერთობის

27 მაისს, კომპანია "არემეტის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებმა კაზრეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ "მართვეს" კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწვეს და საჩუქრად კონდიციონერი გადასცეს. ანსამბლის მოცეკვავეებისთვის კიდევ უფრო კომფორტული სავარჯიშო გაჩემოს შესაქმნელად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სტუდიის კონდიციონერება. ქორეოგრაფების თხოვნის შედეგად კომპანიის მენეჯმენტმა აღნიშნული საკითხი მყისიერად დადებითად გადაწყვიტა.

გივი ტატიშვილი (ანსამბლ "მართვეს" ქორეოგრაფი) - "ეს არ არის პირველი შემთხვევა და აღბათ, არც უკანასკნელი იქნება. დიდი მადლობა საწარმოს. ბავშვები ზაფხულში სიგრილეში მოემზადებიან და ზამთარში - სითბოში. სტუდიაში რომ შემოდიოდნენ, ნახევარი საათის განმავლობაში ვცდილობდით მათ მობიძგიებას, რომ სიცხის

სამსახურის უფროსი - "კომპანია „არემეტი“ უკვე 4 თვეა აფინანსებს ცეკვის ანსამბლ „მართვეს“. ამჯერად მათ საჩუქრად გადავცით კონდიციონერი, რომელიც დამონტაჟდება საცეკვაო დარბაზში, სადაც სტუდიის ბავშვები ყოველდღიურად ძალიან ბევრ დროს ატარებენ. კიდევ ერთხელ მინდა ვუსურვო წარმატება და წინსვდა ანსამბლის თითოეულ წევრს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ კომპანია „არემეტი“ გააგრძელებს კუდრულ და სპორტული აქტივობების მხარდაჭერას და აფინანსებას როგორც დაბა კაზრეთში, ასევე მთელ რეგიონში."

ანსამბლ "მართვეს" მიმართ ასეთი მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის კომპანია "არემეტის" საქართველოს

ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა სამადლობლო წერილი გამოუგზავნა, სადაც აღნიშნულია - "საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ მზრუნველობით ეპყრობით და მხარს უჭერთ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ "მართვეს" ყოველდღიურ შემოქმედებით და სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. დარწმუნებული ვართ, თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა ანსამბლ "მართვეს" არც სამომავლოდ მოაკდებია, რაც ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის სწავლების, ფიზიკური მომზადებისა და ესთეტიკური აღზრდის საქმეს."

P.S. ცნობილი გახდა, რომ ანსამბლ "მართვეს" მიენიჭა უფლება, მონაწილეობა მიიღოს ევროპის ახადგაზრდილი ოდრემიური ფესტივალის მხატვრულ გაფორმებაში, რომელსაც თბილისი 2015 წლის 26 ივნისიდან უმასპინძლებს. კომპანია "არემეტი" წარმატებასა და წინსვდას უსურვებს მომავალ თაობას.



„არემჯი კოპერის“ თანამშრომლებმა დმანისის სიონს ზარი შესწირეს



გაზეთთან საუბრისას იხსენებს, თუ როგორ გარჩნდა 240 კილოგრამიანი ფოლადის ზარის დამზადების იდეა:

„ეს იყო ჩვენი თანამშრომლის, ზაურ იასალაშვილის ინიციატივა. მან აზრი გამოთქვა, რომ დაგვემზადებინა ზარი, რომელსაც შემდგომში რომელიმე ახლომდებარე ტაძარს გადავცემდით. მოგვიანებით გავიგეთ, რომ დმანისის სიონს, რომელიც დაბა კაზრეთიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ისტორიულ დმანისის ნაქადაქარში მდებარეობს, არ ჰქონდა ზარი და გადამწყვეტიდებაც ერთხმად მივიღეთ. ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ჩვენს მიერ დამზადებული ზარი ამ უძველეს და უნიკალურ ტაძარს დაამშვენებს.“

„არემჯი კოპერის“ გამამდიდრებელი ფაბრიკის თანამშრომლებმა VI-VIII სს ტაძრის - დმანისის სიონისთვის ზარი დაამზადეს და ეკლესიას შესწირეს.

დმანისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი ილუმენი დიონისე გვიმრჩაძე: „ძალიან სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როდესაც ჩამდენიმიე დღის წინ მოვიდნენ საწარმოს თანამშრომლები და საჩუქრად ზარი გადმოგვცეს. ეს მართლაც დიდი შენაძენია ჩვენი ტაძრისათვის, ძალიან მაღდიერები ვართ ამ საწარმოსი. დროებით ზარი ძველი სამრეკლოს გვერდით დავამონტაჟეთ, თუმცა სამომავლოდ გვსურს რესტავრაცია ჩავუტაროთ სამრეკლოს და ზარიც იქ დაიკიდება“.

„არემჯი კოპერის“ მექანიკოსი კაკო კავლედაშვიდი ერთი თვის განმავლობაში სხვა თანამშრომლებთან ერთად ზარის დამზადებაზე მუშაობდა, ის ჩვენს



ფოტოფაქტი:

BOLNISI.GE-ზე ჩატარებულ
გამოკითხვაში ხალხის
რჩეულ კომპანიად
„არემჯი“
დასახელდა.

